

რეზენი

კვირა

ფილიფალი მესამე. რედაქცია. სახანძრო-სახანძრო და სახანძრო-სახანძრო...

საქართველოს ერთგულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. კომპლ. დღიური გაზეთი. რეზენი, კვირა.

სერჯი სიმონის ძე ავალიშვილის სულის მოსახსენებლათ ქუთაისში პეტრე პავლეს ეკლესიაში 23 ამ მარტს დღით კვირას იქმნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი.

ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოება. საოჯახო ღუმელის.

ხელუხლებელი სიმდიდრე. საქართველოს—ხელუხლებელი სიმდიდრე აქვს—აუარებელი ნაყოფიერი ვაკეები და მთებიდან დაქანებული მდინარეები.

ერთეულს უნდა ჰქონდეს უფლება გამოიტანოს ბანკიდან სესხი სარწყავი არხის გასაყვანად იმ პირობით, რომ გამოტანილი ფულის სარგებელი წვრილი საერობო ერთეულისავე მოქალაქეთა შეაწეროს და გადახდებინოს.

პრესა. ჯარი და გვარდია. ჩვენს რესპუბლიკაში ეკონომიური და კერძოთ ფინანსური მდგომარეობის შემდგომ ყველაზე უფრო მოუგვარებელი სახეობაა ძალა. ამ დარგში ვინ რა უნდა გააკეთოს და ვინ ვის წინაშე პასუხისმგებელი არავინ იცის.

მოღვაწეობაზე და ჯარის იძულებითი მოღვაწეობაზე ფიქრი და აზროვნება, მაშინ როდესაც ეს ორი ძალა ერთი მიზნისა და დანიშნულებისა არიან სახელმწიფოსათვის, ყოველად მიუღებელი და უფარვისი სახეობაა პოლიტიკა.



კავკავაძის ქუჩის საუბნო კრება.

კვირას, 23 მარტს, ნაშუადღევს სრულ ... საათზე წყალ-გალმა უბნის კომიტეტის ბინაზე (ორპირის ქუჩა, საყვარელიძის სახლი) მოხდებოდა კავკავაძის ქუჩის უბნის მცხოვრებთა საზოგადო კრება. გასარჩევია

დამოკიდებულება, წარსული წლის სექტემბრის 25-ს წარუდგინე პარლამენტს, რომლის მიერ დამტკიცებულ იქნა მცირე ცვლილებით, დეკემბრის 6-ს და თანახმად კანონისა, იმავე თვის 28-ს ძალაში შევიდა.

მხოლოდ ამის შემდეგ შემდგომ შეესდგომოდა კონტროლის ორგანიზაციას და მისი მოქმედების განხორციელებას გარკვეული კანონის საფუძველით. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მოკლე ხნის განსაველობაში შტატის შევსება შეუძლებელი იყო. ერთის თვის განმავლობაში (1 თებერვლამდე) მაინც მოხერხდა დაწესებულ შტატის 2/3 მდის აყვანა მოხელეთა რაოდენობისა.

თუმცა პირველ ხანებში ძველ საკონტროლო დაწესებულებათა ლიკვიდაციის საქმესა და ხსენებულ კანონ-პროექტის შემუშავებაში ვიცავი გართული, მაგრამ იმავე დროს ჩემი საზრუნველი იყო კონტროლის დაწესებულებათა ფაქტიური გაერთიანება. ამ მიზნით ყველა ეს დაწესებულებანი ოქტომბრის 1-ისათვის კანონ-პროექტის ნაგარაუდვე გეგმისამებრ შეერთებულ და მოთავსებულ იქნენ ერთ შენობაში. რამაც გააადვილა საქმის საერთო ხელმძღვანელობა. მასთან ერთად შევიმუშავე გაერთიანებული კონტროლის მოქმედების გეგმა, რომლის ძირითადი საფუძველი იმ პროგრამაზე იყო დამყარებული, რომელსაც გვიკარნახებდა სახელმწიფო მეურნეობის მდგომარეობა და გადამეტებული, მოუწესრიგებელი ზრდა სახელმწიფო ხარჯებისა, მასთან რაიმე საბიუჯეტო სისტემის უქონლობა. საქმის მდგომარეობის ნამდვილი სურათი, რომ გადაშლილიყო, კონტროლისათვის

საფუძლია... — მე... რუსულ ორიენტაციის მომხრე ვარ. უფრო „კერენსკის“ და „ნიკოლაევსკის“ ფულუბი მომწონს... მაგრამ...

— რისი მაგრამ... შენ ოჯახ დაქვეალო, თუ ფულს იპარავდი „კერენსკია“

საქირო შეიქმნა: 1) გამოერკვია, რა კრედიტის შქონე არიან სხვადასხვა ანგარიში ვალდებულნი დაწესებულებანი და პირნი. 2) ფაქტიურად გაცნობოდა ზოგიერთ უფრო მსხვილ სამეურნეო ოპერაციების წარმოებას მაინც და 3) მიეღწია საბიუჯეტო ანგარიშ წარმოების საქმის წესიერად დაყენებისათვის, სათანადო ანგარიშების აუცილებელი კონტროლში წარმოადგენით.

ასეთი გეგმის მთლიანად შესრულება მეტად მძიმე იყო, როგორც ხალხის უყოლობის გამო, აგრეთვე იმიტომ, რომ ბევრი სახელმწიფო დაწესებულებანი ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულან, გარდამავალი ხანის განსაკუთრებულ თვისებაზე და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის დროებით მოთხოვნილებაზე, რომ არა ვსთქვათ რა მიუხედავად ამისა, იმ აზრით გამსჭვალულმა, რომ ამ აღმშენებლობისათვის შესაძლო შემწეობა აღმოეჩინა, კონტროლმა ყოველივე ღონისძიება იხმარა, რათა მისი ცნობანი მთავრობას გამოეყენებია სახელმწიფო და ხაზინის ინტერესისათვის.

ჯერ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ კონტროლი გარდა იმისა, რომ ამის შესახებ თავის დროზე მთავრობასაც მიმართა მოხსენებით და საფინანსო კომისიაშიც აღძრა რამდენჯერმე ეს საკითხი, მრავალგზით ცდილობდა ამ საქმის ასრულების დაჩქარება გამოეწვია. და მგონია, შემძლიან ვთქვა, რომ თუ დღეს ჩვენი ბიუჯეტის შედგენის საქმე წინ წაწეულია იმ მხრივ რომ ხარჯთაღრიცხვათა უმრავლესობა შედგენილია — რომელთაც, უნდა გვახსოვდეს, დიდი, ფრიად დიდი შემო-

პრობორციონალურად აბდალაჟე უკან იხეოდა.

— ბ. კაცო, მაპატივეთ... მგონი შეგაწუხებთ... იქნება როგორმე „გვამპკორის“ ასი მანეთიანი დამიხურდაოთ — სამი დღეა, რაც დავრბივარ... მიშველეთ.

კლება და შემცირება ესაჭიროებოდა, — ამასი კონტროლს, მისი სასაყვედუროდ გამხდარ უღმობელოების წყალობით, კოტათი წილი უღევს.

იყო რამდენიმე იმის მაჩვენებელი გარემოება რომ სხვა და სხვა დაწესებულებანი აღარ უწევენ ანგარიშს სახარჯთაღრიცხვო და საკასო წესებს, რომ შემოისავალი თითქმის აღარ შედის ხაზინაში, რომ ბევრი ხარჯთაშკრეფნი ხარჯავენ მათ ხელში შემოსულ თანხებს თავის სამმართველოთა შესანახად და სხვა და სხვა სამეურნეო საქიროებაზე, კონტროლის წინაშე ანგარიშ წარუდგენლად, და რომ სამეურნეო დარგში მუშაობა არაა შეფარდებულ-შეთანხმებული ხაზინის ინტერესებთან, რის გამო კონტროლმა პირველ რიგში ტფილისის ხაზინის საკასო საბუხალტერო ანგარიშ წარმოების ფაქტიური მიმოხილვა მოახდინა.

საანგარიშო საკრედიტო ნაწილის მიმოხილვის შემდეგ სახელმწიფო კონტროლი სხვა და სხვა უფრო თვალსაჩინო სამეურნეო დარგთა ფაქტიურ შემოწმებას შეუდგა, შემდეგში განაგრძობდა და ეხლაც განაგრძობს მის შესრულებას სხვა და სხვა ცალკე შემთხვევებშიაც.

პირველ რიგში ფაქტიურად შემოწმებული იქნენ: 1) ყოფილი სასურსათო სამინისტროს დაწესებულებანი ტფილისში; 2) მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებანი ტფილისში, ბორჯომში და კახეთში; 3) მომარაგების კომიტეტის დაწესებულებანი ტფილისში და ქუთაისში. შემდეგ ხდებოდა და ხდება ფაქტიური რევიზია რკ. გზისა, ცენტრალურ სასურსათო საბჭოს ოპერაციებისა, სამხედრო სამინისტროს და სახალხო გვარდიის სხვა

აკხე... კხე... რა უცნაური ხველა ამიტყდა... აღბათ სადღაც გავცივდი — დიწყო ეშმაკმა და კუდის ბოლომ პიქვილის ფერი მიიღო.

— თქვენ, მგონი, ბრძანებთ რომ სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ბრძანდებით!...

და სხვა დაწესებულებათა, აგრეთვე ცალკე სამხედრო ნაწილებისა, მათ შორის იმათიც, რომელნიც ბრძოლის ველზე იმყოფებოდნენ.

სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე დაწესებულებაში ყველაფერი წესიერად აღმოჩენილიყოს. მხოლოდ ზოგიერთ მათგანში აღმოჩენილი უწესოება შეიძლება ჩავთვალოთ დროთა ვითარების აუცილებელ შედეგად, მაგრამ დანარჩენებში კი კონტროლი შეხედა ანგარიშების არეულ-დარეულ, უთავბოლ მდგომარეობას, ხშირად მათ სრულ უწარმოებლობასაც, ფულისა და საქონლის უწესო ხარჯვას და აშკარა ბოროტმოქმედებასაც. სხვა დაწესებულებებში ფაქტიურმა რევიზიამ გამოამჟღავნა ისეთი ნაკლი და ურიგობა, რომელიც მოწმობდა ან საქმის საზარალოდ მიმართავს, ან სახელმწიფო მეურნეობის სახიფათო უნუგეშო მდგომარეობას.

საქართველოს უზენაეს კრებას ამჟამად ბევრი პირველხარისხოვანი საშური საქმე აქვს გასაკეთებელი და ამიტომ ვერ ვბედავ აქ მისი ყურადღება შევაჩერო იმ უწესოებისა და ბოროტმოქმედებას კერძო შემთხვევებზე, ან იმაზე, თურა ილონა კანტროლმა იმათ გამო, ზოგი რამ იმათგან, ნათქვამის კონკრეტ მაგალითებით დასასაბუთებლად, აღწუსულია ვრცელს წერილობით მოხსენებაში, რომელთაც აქვე წარმოგიდგენთ.

ფაქტიური რევიზიითა და სხვა საკანტროლო ცნობებით სახელმწიფო კონტროლი დარწმუნდა, რომ ამ შემთხვევაში საქიროა უწინარს ყოველისა მტკიცე ზომები საბიუჯეტო სისტემის მოსაწესრიგებლად. ერთ ასეთ ზომად მან მიიჩინა ყველა უწყებათა ხარჯების წინასწარი რევიზია.

(დასასრული ხვალ)



